აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ.ბათუმი

20.05.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

ბესიკ ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე;

იოსებ აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

რომან ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

ვალერი ბერაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;

რაულ აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;

კახა შაშიკაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ვახტანგ წულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი;

კომისიის მდივანი - ცირა აბულაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი“ ბათუმის ფილიალის დირექტორი;

სიმონ რესულიძე - საარქივო სამმართველოს საფინანსო-საბუღალტრო განყოფილების უფროსი;

გიორგი კალანდაძე - მოწვეული სტუმარი;

ნოდარ თურმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

დღის წესრიგი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. მომხსენებელი - ვახტანგ წულაძე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. მომხსენებელი - ვალერი ბერაძე.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. მომხსენებელი - რამაზ ბოლქვაძე.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. მომხსენებელი - სიმონ რესულიძე.

მოისმინეს:

სხდომის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს:

1. კომისიის წევრის - ვახტანგ წულაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის ვახტანგ წულაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - **დანართი #1)**

2. კომისიის წევრის - რამაზ ბოლქვაძის მოხსენება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის რამაზ ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - **დანართი #2)**

3. კომისიის წევრის - სიმონ რესულიძის მოხსენება საარქივო სამმართველოს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის სიმონ რესულიძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - **დანართი #3)**

4. კომისიის წევრის - ვალერი ბერაძის მოხსენება განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის ვალერი ბერაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - **დანართი #4**)

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

1.კომისიის თავმჯდომარემ რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა გასულ წელთან შედარებით სატყეო სექტორის მართვა მომსახურების ხარჯები გაზრდილია და რა არის ამის მიზეზი?

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტება

ვახტანგ წულაძემ განმარტა რომ სატყეო სექტორში თანხების მატემა წინა წელთან შედარებით გამოწვეულია ახალი ღონისძიების ,,აჭარის სატყეო ფონდის ინვენტარიზაციის" დამატებით, რომელიც გულისხმობს აჭარის ტყეების შესწავლას თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით (აერო გადაღება) რომელიც დაადგენს თუ რომელ ტერიტორიაზე რა რაოდენობის ტყის მარაგები გაგვაჩნია და სად შეიძლება ტყე-კაფების გამოყოფა.

რეკომენდაცია იქნა მიცემული, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიება ჩამოყალიბდეს დამატებითი ქვეპროგრამის სახით.

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

1. ნათია აფხაზავას მიერ გამოითქვა მოსაზრება და რეკომენდაცია, რომ სსიპ ბათუმის ბულვარს უნდა ქონდეს მარკეტინგული განვითარების გეგმა და გეგმის მიხედვით უნდა ხდებოდეს ღონისძიებებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა.

2. ნათია აფხაზავამ გამოთქვა შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მიმართვიანობის შემთხვევაში სსიპ ,,სავაჭრო-სამრეწველო პალატა" და ა(ა)იპ ,,ბიზნეს ინკუბატორი" მოქალექეებს უარს ეუბნება ბიზნეს გეგმების შემუშავებაში დახმარების გაწევაზე?

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტებები.

რამაზ ბოლქვაძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ ,,ბიზნეს ინკუბატორის" საქმიანობაა ინკუბირებული კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა-მონიტორინგი და ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სერვისების და რესურსების მიწოდება, ხოლო სსიპ ,,სავაჭრო-სამრეწველო პალატის" უშუალო ფუნქციაა დაინტერესებული პირებისათვის ბიზნესგეგმების შემუშავებაში დახმარების გაწევა. ასევე განმარტა, რომ სსიპ ,,ბათუმის ბულვარი" გეგმავს მარკეტინგული გეგმის შემუშავებას.

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

1. რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა პროგრამის ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვის" ,,საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების" ქვეპროგრამაში რომელი სკოლების რეაბილიტაციაა დაგეგმილი 2015 წელს? და არსებობს თუ არა დაგეგმილ სკოლებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია?

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ დასვა შეკითხვა გათვალისწინებული იქნება თუ არა 2015 წლისათვის განახლების დაწყებითი სკოლის ასაშენებლად თანხები, რომელიც რეაბილიტაციას არ ექვემდებარება?

3. რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსახორციელებელ პროგრამებში რამდენად საჭიროა კოორდინატორები? და თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა ხომ არ ფიქრობთ მათ შტატით აყვანას?

4. პროგრამის ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის" ქვეპროგრამა ,,უმაღლესი განათლების ხელშეწყობა" გამოითქვა მოსაზრება რომ დასახვეწი და დასაკონკრეტებელია ქვეპროგრამის პირობები? უნდა მოხდეს ისეთი სპეციალობების დაფინასება, რომელიც ქვეყანას ჭირდება, რაც დეფიციტურია, მაგალითად: ფიზიკოსი, ბიოლოგი, ვეტერინარი და ა.შ.

5. რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა წარმოდგენილი ახალი ქვეპროგრამა ზოგადი განათლების ხელშეწყობა რას გულისხმობს? მიზანშეწონილია ქვეპროგრამის დახვეწა.

6. რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა პროგრამა ,,უწყვეტი განათლება" რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლების გადამზადებას ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია ხომ არ არის? საპენსიონო სკოლები რის საფუძველზე ფინანსდება? რა წესით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან პენსიონების დაფინასება?

7. სახელოვნებო სკოლებთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, ხომ არ არის ჩასატარებელი რეფორმა, სწავლების ხარისხის გაზრდის მხრივ და ასევე საინტერესოა უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ამ მიმართულებით, კანონმდებლობა ითვალისწინებს თუ არა მათ აკრედიტაციას ან ლიცენზირებას?

8. მუზეუმებში მენეჯმენტი დასახვეწია იმ მიმართულებით რომ მოიზიდონ დამთვალიერებლები, მიიღონ მეტი შემოსავლები რაც მოხმარდება მუზეუმების განვითარებას.

9. გამოითქვა მოსაზრება ხომ არ უნდა გაერთიანდეს ქვეპროგრამები ,,საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა" და ,,კულტურის მენეჯმენტის განვითარების ხელშეწყობა" (შინაარსობრივად ერთი და იგივეა).

10. პროგრამის ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის" ქვეპროგრამა ,,უმაღლესი განათლების ხელშეწყობა" დაფინანსების წესი დასახვეწია. ხომ არ ხდება პროგრამის დუბლირება რადგანაც სახელმწიფო დონეზე არსებობს მსგავსი პროგრამა?

11. რამაზ ბოლქვაზემ დასვა შეკითხვა პროგრამის ,,აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა" განხორციელებით რა შედეგი გვაქვს? აღწევს თუ არა პროგრამა დასახულ მიზნებს?

12. პროგრამის ,,კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია" ქვეპროგრამა ,,კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა სოფლად" რატომ ხდება განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფინანსება? როცა მუნიციპალიტეტებს ყავთ მათ მიერ დაფუძნებული კულტურის ცენტრები და ზოგადად მათ მიერ უნდა ხორციელდებოდეს კულტურული ცხოვრების გააქტიურება.

13. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა და ამ გეგმის მიხედვით უნდა ხდებოდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რესტავრაცია.

14. პროგრამა ,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა" რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ,,სტუდენტური დღეების" ჩატარება, უნივერსიტეტის მიერ ხომ არ უნდა იქნეს ჩატარებული ?

15. ნათია აფხაზავამ გამოთქვა შენიშვნა იმის თაობაზე რომ პროგრამა ,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა" რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ გართობაზე დასახვეწია და ისეთი ღონისძიებებია მოსაფიქრებელი რომელიც ახალგაზრდობას დაეხმარება წინსვლა-განვითარებაში.

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები:

1.პრიორიტეტების კომისიის სხდომაზე მოწვეულმა სტუმარმა დოქტორანტმა გიორგი კალანდაძემ დასვა საკითხი ცოფის ვირუსის გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით. წარმოადგინა წინადადებები გარეული ცხოველების კერძოდ ტურების აცრის აუცილებლობასთან მიმართებაში რომლებიც არიან ცოფის ვირუსის ძირითადი მატარებლები და ამ მიზნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ იქნას ბიუჯეტში გათვალისწინებული შესაბამისი თანხები.

დოქტორანტი გიორგი კალანდაძის მიერ წარმოდგენილი საკითხი ცოფის ვირუსის გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით ერთხმად გაიზიარეს პრიორიტეტების კომისის წევრებმა გაუწიეს რეკომენდაცია წარმოედგინა წერილობით ინფორმაცია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. შესაბამისი უწყებები შეისწავლიან აღნიშნულ საკითხს და მიღებული იქნება დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილება.

სჯელობის შედეგად კომისიამ დაადგინა:

გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მხარჯავ დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია 23 მაისამდე წარმოადგინონ 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის გადამუშავებული ვერსია და ამის შემდეგ მოხდეს 2015-2018 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების რანგირება.

კომისიის წევრები:

ბესიკ ბოლქვაძე

ოსეგ აბულაძე

რომან ბოლქვაძე

ვალერი ბერაძე

რაულ აბულაძე

კახა შაშიკაძე

ვახტანგ წულაძე

მოწვეული სტუმრები:

ნათია აფხაზავა

სიმონ რესულიძე

გიორგი კალანდაძე

ნოდარ თურმანიძე

კომისიის თავმჯდომარე რამაზ ბოლქვაძე

კომისიის მდივანი ცირა აბულაძე